

საბა

17 (319) | 2022



საქართველოს კათოლიკეთს ყოველთვიური მაცნე
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA



ივლისი



- 11** ივლისი - წმ. ბენედიქტე, ევროპის მფარველი, ბენედიქტელ დედათა ზეიმი
- 14** ივლისი - წმ. კამილო დე ლელისი, კამილიელ მამათა და დედათა, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი
- 21** ივლისი - კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+ 1999)
- 22** ივლისი - წმ. მარიამ მაგდალელის დღესასწაული, დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)
- 23** ივლისი - წმ. ბრიგიდა - ევროპის მფარველი, დღესასწაული
- 24** ივლისი - კამილიელ მ. ნინო (ჯანჭიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)
- 25** ივლისი - წმ. იაკობ მოციქული

ჩადამტოვრის გვერდი 3

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4-5

ჩვენი ეკლესია 6-10

თვის წმიდანი 11

იუბილე 12

ჩანართი კანონული ეკლესია I-IV

საბაუნის ერონიკები 13

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი 14-15

ეკუმენური გვერდი 16-17

სამეცნიერო გვერდი . 18-19

კათოლიკური კულინარია 20-21

საბავშვო გვერდი 22

სოციალური გვერდი 23

სალომე ზურაბიშვილმა სტამბოლის ქართული კათოლიკური ასოციაციის თავმჯდომარე პოლ ზაზაძე ოქროს სანმისის ორდენით დააჯილდოვა



საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და საქართველოსთვის მისი ხელმისაწვდომობის უზარაოდ უზრუნველყოფისათვის, ქართველი ემიგრანტების მიმართ განსაკუთრებული თანადგომისთვის სტამბოლის ქართული კათოლიკური ასოციაციის თავმჯდომარე პოლ ზაზაძე საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ოქროს სანმისის ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონია ორბელიანების სასახლეში გაიმართა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პოლ ზაზაძესა და მის ოჯახს ქვეყნისა და ხალხისათვის მათი თავდადებული მოღვაწეობისა და ქართული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

პოლ ზაზაძემ, რომელიც სპეციალურად ამ სახელმწიფო ჯილდოს მისაღებად სტამბოლიდან ჩამოვიდა, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს მისი ოჯახის სამი თაობის საქმიანობის დაფასებისთვის.



ხელები ახალი დასაწყისისთვის...

უზარმაზარი ხელი ამოიმართება ჩილეში, ატაკამის უდაბნოდან, როგორც სასონარკვეთილი, გაუგონარი თხოვნა დახმარებისთვის. ეს არ არის მირაჟი: ის მართლაც ამოიმართა ქვიშიდან თითქმის 25 წლის წინ - 11 მეტრი სიმაღლის ხელის ფორმის ეს გიგანტური სკულპტურა 1992 წლის მარტში რკინისა და ცემენტისაგან აიგო - ატაკამის უდაბნო მუდმივი მონახულების ადგილად იქცა მათთვის, ვინც სტუმრობს ხოლმე დედამიწის ამ ყველაზე მშრალ და უსიცოცხლო მიდამოს, 50-ჯერ უფრო დიდს, ვიდრე კალიფორნიის **სიკვდილის ველია**. რომელმა ადგილმა შეიძლება უკეთესად, ასე მხატვრულად წარმოგვიდგინოს მარტოობა და მიტოვებულობა? ხელოვნების ამ ნიმუშს უწოდეს: „უდაბნოს ხელი“. იგი შექმნილია ჩილეელი მოქანდაკის მარიო ირარასაბალის მიერ (Mario Irarrázabal - გერმანელი მოქანდაკის ოტო ვალდემარის მოსწავლე) ჩილეში, სამხედრო რეჟიმის პერიოდში, უსამართლობისა და წამების მსხვერპლთა პატივსაცემად.

ამჯერად გვახსენდება არა მონუმენტი, არამედ 1968 წელს რეჟისორ რომეროს მიერ ზომბების შესახებ გადაღებული საშინელებათა ფილმის *Night of the Living Dead* („ცოცხალ მკვდართა ღამე“) პლაკატი; მავანს სურდა ამოეცნო საბჭოთა კავშირი იქ, სადაც მიწიდან ამომავალი ხელია დახატული: იმაზე მეტად საშინელი, ვიდრე რომელიმე ზომბი, რომელიც ცოცხლდება და ვისი ხელიც შეიძლება ყოფილიყო ის. ორი, კარგად მოვლილი, მაგრამ აშკარად მამაკაცური ხელია გამოსახული კრონენბერგის ფილმის „მკვლელის დაპირება“ (2007) პლაკატზე: ეს ხელები მთავარი გმირის, ნიკოლაი ლუჟინისაა, მარცხენა ხელის თითების ბოლოებზე მას რუსული მაფიისთვის ტიპური ტატუ აქვს, ხოლო მარჯვენა ხელზე, მტევნის ზედა მხარეს, მხოლოდ ერთი ტატუ: **серб** (ჩრდილოეთი), მზე ჰორიზონტზე; ჯერ კიდევ ხელე-

ბი დაკავშირებულია ძალადობასა და სიკვდილთან.

კიდევ ერთი ხელი, ქალის ხელი, მიწაზე დაშვებული, ოდნავ მოხრილი თითებით, კარგად მოვლილი ფრჩხილებით: მათგან ოთხი კაშკაშა წითელი ლაქით დაფარული, არათითზე ვერცხლისფერი ლაქით, შუაში შავი გულით. ირგვლივ ის ტალახი და ნამსხვრევებია, რითაც ეს თითებია სავსე... ირგვლივ გამეფებული სიკვდილი და ტკივილი... ეს ფოტო ბუჩაში (უკრაინა) გადაიღეს, მარტის ხოცვა-ჟლეტის დროს. შემდეგ მოიძიეს და სახელიც უწოდეს: ირინა ფილკინა, 52 წლის, ბუჩაში ცენტრალური გათბობის ოფისის თანამშრომელი. იგი გაჩერდა თანამოქალაქეების დასახმარებლად. ამ კადრმა იმაზე მეტად იმოქმედა, ვიდრე ქუჩებში დაყრილმა ცხედრებმა, მასობრივმა საფლავებმა, ალბათ ირინას ერთ-ერთი ქალიშვილის, ოლგას სიტყვების გამო: „მინდა, რომ მისი ხელის გამოსახულება იყოს ახალი დასაწყისის სიმბოლო“. „ეს სიმბოლო ოკუპანტებს ეუბნება, რომ მათ შეუძლიათ, რაც უნდათ, ყველაფერი გაგვიკეთონ, მაგრამ ვერ წაგვართმევენ მთავარს: სიყვარულს. ხალხის მიმართ სიყვარულს...“.

ირინას ხელი, საკუთარი თავისადმი ზრუნვისა და პატივისცემის ნიშანი, ამგვარად, სიყვარულის მეშვეობით ძლევს სიკვდილს. ამ ხელის ამსახველი ფოტოს ძალა, იმ სიძლიერითა და იმედით, რაც მასში გამოსჭვივის, გვახსენებს არაერთ ცნობილ ფოტოზე ადამიანთა ხელებს, რომლებიც მზად არიან დაიცვან მშვიდობა, სამართლიანობა, იზრუნონ სამყაროზე, ადამიანებზე, განსაკუთრებით ყველაზე გაჭირვებულებზე, ხელები, რომლებიც ეგოისტურად კი არ იკვრება, არამედ ფართოდ იშლება ლოცვისთვის, მსახურებისთვის, მისალმებისთვის... და აქვე, როგორ არ გავიხსენოთ იმ ეპისკოპოსთა გაშლილი ხელები, სული წმიდის ნამივით რომ დაეშვა კათოლიკე ეკლესიაში დიაკვნობისა და მღვდლობის არაერთი კანდიდატის თავზე ამ პერიოდში?



საქველმოქმედო ორგანიზაცია „Kirche in Not“ სირიელ ქრისტიანთა დახმარებისთვის 22 პროექტს განახორციელებს

პროექტები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება და ყველა ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს. ორგანიზაცია ხელმოკლე და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს სოციალური საცხოვრებელი უზრუნველყოფს; აწყობს საზაფხულო ბანაკებს ბავშვებისთვის და უნარშეზღუდულთათვის; გაიხსნა რამდენიმე ამბულატორია და მოხუცებულთა თავშესაფარი; საგანგებო სტიპენდიური პროგრამა ხუთას სტუდენტს ქვეყანაში დარჩენის და საუნივერსიტეტო განათლების მიღების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ორგანიზაცია ეხმარება სურსათ-სანოვაგითა და მედიკამენტებით მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სირიელმა ქრისტიანებმა სამშობლოში დაბრუნება და დარჩენა შეძლონ. ქვეყანა ომის შედეგს იძვის. არ არის სამუშაო ადგილები, შემოსავლის მიღების საშუალება. ბევრ ოჯახს არ აქვს ფული, არ აქვს ნვდომა სამედიცინო მომსახურებასა და განათლებაზე. ამ ეტაპზე ადამიანებს მხოლოდ ეკლესიის იმედი აქვთ. ჩვენი ფონდი ეკლესიის მხარდამხარ იღვწის“, - აღნიშნა ორგანიზაციის ბრიტანეთის განყოფილების დირექტორმა, კეროლან ჰოლმა.



ავღანელი ქრისტიანები თალიბანის მმართველობისას

მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში ძალაუფლება თალიბებმა ჩაიგდეს, ავღანელ ქრისტიანთა ისედაც მძიმე ყოფა სრულიად გაუსაძლისი გახდა. „ქრისტიანები იძულებულნი არიან, საჯაროდ აღიარონ ისლამი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ოჯახებიდან და თემიდან რიყავენ, კლავენ ან აპატიმრებენ. არის ალტერნატივა: ქრისტიანობის აღიარება ფსიქიკურ აშლილობას უტოლდება, ამიტომ ქრისტიანებს იძულებით აგზავნიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში“, - აღნიშნულია საქველმოქმედო და სამართალდამცავი ორგანიზაციის „Open Doors“ ყოველწლიურ ანგარიშში. თალიბების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრმა ქრისტიანმა სხვადასხვა ორგანიზაციის დახმარებით სხვა ქვეყნებში გაქცევა შეძლო. ქვეყანაში დარჩენილ ქრისტიანთა რიცხვის დადგენა შეუძლებელია, რადგან სიცოცხლის შენარჩუნებისთვის მათ საკუთარი რ-



მენის დამალვა უნევთ. ხელისუფლებაში თალიბანის მოსვლის შემდეგ ქრისტიანებისთვის ყველაზე საშიში ქვეყნების ჩამონათვალში ავღანეთმა პირველ ადგილზე გადმოინაცვლა. მას მოსდევს ჩრდილოეთ კორეა, სომალი, ლიბია, იემენი, ერიტრეა, ნიგერია, პაკისტანი, ირანი და ინდოეთი.

პოლონეთის კათოლიკე მღვდელმთავრები უკრაინელ ღმერთთა დახმარებას ითხოვენ

პოლონეთის კათოლიკე ეკლესიის მღვდელმთავრებმა 7 ივნისს გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნავენ, რომ უკრაინელთა შორის მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ხანგრძლივი და რეგულარული დახმარების გარეშე, უბრალოდ, გადარჩენას ვერ შეძლებენ. მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო, უკრაინა-პოლონეთის საზღვარი დაახლოებით ოთხ მილიონამდე ადამიანმა გადაკვეთა. ბევრი მათგანი ევროპის სხვა ქვეყნებში გაემგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ ომს ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს, არიან ისეთებიც, ვინც სამშობლოში, უკრაინაში დაბრუნება გადაწყვიტა. მათში პოლონელ ეპისკოპოსთა დელეგაცია უკრაინას ეწვია. „ჩვენ შეძრულები ვართ ამ უსასტიკესი ომით, რომელსაც ადამიანებისთვის ტანჯვა მოაქვს. შეძრულები ვართ ძალადობით, რომელიც ადამიანთა სიცოცხლეს და ოცნებებს სპობს. მოვუწოდებთ მთავრობას, სისტემურად მიუდგეს ომის მსხვერპლთა დახმარების საქმეს როგორც პოლონეთში, ასევე უკრაინაში. ყველამ ერთად უნდა ვიღვანოთ - სახელმწიფო დაწესებულებებმა, თვითმმართველობის ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და სამრევლოებმა“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ნიგერია: თავდასხმა კათოლიკურ ტაძარზე

5 ივლისს ნიგერიის ქალაქ ოვოს კათოლიკურ ტაძარში შეიარაღებულმა პირებმა, სავარაუდოდ, „დასავლეთ აფრიკის პროვინციის ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების წევრებმა ცეცხლი გაუხსნეს სულთმოფენობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ წირვაზე შეკრებილ მორწმუნეებს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორმოცი ადამიანი. ექსტრემისტული ორგანიზაციის „დასავლეთ

აფრიკის პროვინციის ისლამური სახელმწიფოს“ სინდისზე ათასობით ნიგერიელი ქრისტიანის სიცოცხლეა. ნიგერიაში რწმენის გამო უფრო მეტი ქრისტიანი იღუპება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. 2022 წლის მხოლოდ პირველი სამი თვის განმავლობაში ქვეყანაში ცხრაასზე მეტი ქრისტიანი მოკლეს.

ოჯახების შეხვედრა 2022

22-26 ივნისს რომს ორი ათასი კათოლიკე ოჯახი ესტუმრება, რათა, უწმიდეს პაპთან ერთად, ოჯახის, ქორწინებისა და რწმენის საკითხები განიხილოს. საერთაშორისო თავყრილობა მიეძღვნება თემას „ოჯახური სიყვარული: მოწოდება და სინმიდისკენ მიმავალი გზა“. პირველი ასეთი შეხვედრა 1994 წელს იოანე პავლე მეორის ინიციატივით გაიმართა. ოჯახების შეხვედრა სამ წელიწადში ერთხელ იმართება და ძალზე ხალხმრავალია, თუმცა წელს, ეპიდემიის გამო, ორგანიზატორებმა შეხვედრის მონაწილე ოჯახთა რიცხვი ორი ათასამდე შეამცირეს.

ოჯახების დღესასწაულში ასევე მონაწილეობდა მსოფლიოში ცნობილი ჯგუფი IL VOLO, რომელმაც ამ დღესასწაულზე მონვეული ოჯახებისა და თავად რომის პაპისთვის ლამაზი მელოდია შეასრულა. „ჩვენთვის ეს არის ჩვენი მოღვაწეობის შედეგი და პატივისცემა, რათა ვუმღეროთ ღვთის დიდებას და დავამონმოთ მისი სიყვარული ჩვენი ოჯახებისადმი“, - აღნიშნა ცნობილი ახალგაზრდული ტრიოს ერთ-ერთმა წევრმა.



კიდევ ერთი ქართველი კათოლიკე მღვდელი

ძალიან შთამბეჭდავი მოვლენის მომსწრენი გავხდით ამა წლის 28 მაისს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, სადაც ცამეტ დიაკონს შორის ერთი ქართველი, თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძრის მრევლის წევრი - შალვა მარკოზაშვილი მღვდლად იკურთხა.

ჩვენი მეუფის, ჯუზეპე პაზოტოს ხელმძღვანელობით, საქართველოდან ვარშავას ეწვია რამდენიმე კაციანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: თბილისის წმ. პეტრესა და წმ.

ყოფილი წინამძღვარი, მამა ადამ ოხალი, რომელმაც გვთხოვა, მოკითხვა გადაგვეცა ყველასთვის, ვისაც იგი ახსოვდა და ითხოვა, მისთვის გველოცა.

იქ ჩასულებს საშუალება მოგვეცა, დავსწრებოდით ახლად ნაკურთხი მამა შალვას მიერ პირველად აღვლენილ წირვას. ყველამ კარგად ვიცით, რომ როდესაც შვილი ოჯახს ქმნის, ქორწილის დღეს მშობლებისგან ლებულობს დალოცვას. ასევე, ახლად ნაკურთხი მღვდელი, შემოსილი სამღვდლო სამოსით, თავისი პირველი წირვის დაწყებამდე, ეკლესიის შესასვლელში დაიჩოქება საკუთარი მშობლების წინაშე და სთხოვს მათ განსაკუთრებულ კურთხევას, დალოცვას. ძალიან ამაღელვებელი იყო მამა შალვას დედის, ქალბატონ ანაიდას მიერ კანკალით წარმოთქმული კურთხევის სიტყვები პირველი წირვისას, მორწმუნეებით სავსე ტაძარში. წირვის დასასრულს, მამა შალვამ ყველა იქ მყოფი დაგვლოცა პრიმიციული კურთხევით.

შალვა მარკოზაშვილი სწავლობდა და სულიერ ფორმაციას გადიოდა ვარშავის არქიეპარქიულ მისიონერულ სასულიერო სემინარიაში „რედემპტორის მატერ“, რომელიც ამზადებს მომავალ მისიონერებს. ეს უკანასკნელნი მზად არიან, მსოფლიოს იმ კუთხეში იმსახურონ, სადაც მათ მიავლენს ღმერთი.

ვულოცავთ და ვლოცულობთ მამა შალვასთვის, დაე, ღმერთმა აღავსოს იგი სიხარულით, სიმშვიდით, რწმენითა და შემართებით. ვიმედოვნებთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაგვიბრუნდება საქართველოში და აქ იმსახურებს.

დიდი მადლობა ჩვენს მეუფეს და ყველას, ვინც ამ ლამაზ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის გაგვინია დახმარება. ღმერთმა ასმაგად გადაუხადოს და მიანიჭოს ყველას სულიწმიდის მადლი.



პავლეს ეკლესიის წინამძღვარი მამა მაჩეი მამაი, მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის წინამძღვარი მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიასთან არსებული ნეოკატეხუმენური საკრებულოს (სწორედ აქ გადიოდა შალვა მარკოზაშვილი სულიერ ფორმაციას სემინარიაში შესვლამდე) თორმეტი წარმომადგენელი და მამა შალვას ოჯახის წევრები. იქ ჩასულებს გულთბილად დაგვხვდნენ ვარშავის წმ. ავგუსტინეს ეკლესიასთან არსებული ნეოკატეხუმენური საკრებულოების წევრები, დაგვაბინავეს და ოთხი დღის განმავლობაში თავს გვევლებოდნენ.

საზეიმო წირვა ვარშავის არქიეპისკოპოსმა, კარდინალმა კაჟიმიერჟ ნიჩმა აღავლინა ახლად აგებულ ღვთაებრივი განგების ტაძარში. მასთან ერთად წირვაში მონაწილეობდნენ: ჩვენი მეუფე ჯუზეპე პაზოტო, იტალიის ერთ-ერთი ეპარქიიდან ჩამობრძანებული ეპისკოპოსი და დაახლოებით ას სამოცი ადგილობრივი თუ მონვეული მღვდელი; წირვაში ასევე მონაწილეობდა ჩვენთვის საყვარელი მღვდელი, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის



გზა დიაკვნობამდე



რა კარგია, რომ ჩვენი ეკლესია ატარებს უნ-
მიდესი მარიამის - სავარდის დედუფლის სახელს.
თითქოს გუშინ იყო ეკლესიის გახსნის დღესასწაუ-
ლი, ცოტა ხანში კი ვიზეიმებთ მისი კურთხევიდან
ათი წლისთავს. ამ ხნის მანძილზე ჩვენი საკრე-
ბულო საკმაოდ გაიზარდა, იმატა ახალგაზრდების
რიცხვმა. აღესრულება ნათლობა და ჯვრისწ.ერა,
სასულიერო პირთა კურთხევა.

ამა წლის 4 ივნისს კი ჩვენი რაიონის მკვიდრი, სემ-
ინარიის კურსდამთავრებული კონსტანტინე აკო-
ფაშვილი მეუფე ჯუზეპე პაზოტოს მიერ დიაკვნად
იკურთხა. საზეიმო წირვაში მონაწილეობდნენ
თითქმის ყველა სამრევლოდან მონვეული სტუმ-
რები, სასულიერო პირები, მონაზვნები, კონსტან-
ტინეს მეგობრები და გულმატიკივრები. შეკრებილ
საზოგადოებას სიტყვით მიმართა ვატიკანის ელჩმა
საქართველოში, ჟოზე აველინო ბეტენკურმა. სი-
ტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს კონსტანტინეს
საქმიანობაზე, მის აქტიურობასა და ცოდნაზე, იმ
მეგობრობასა და სიყვარულზე, რაც მან გამოაფ-
ლინა ამ ხნის განმავლობაში. ბოლოს კონსტანტინე

აკოფაშვილმა მადლობა გადაუხადა მონვეულ სტ-
უმრებს სიყვარულისა და თანადგომისათვის.

საშუალება მომეცა, გავსაუბრებოდი კონსტან-
ტინეს და შემეტყო მისი სწავლისა და საქმიანობის
შესახებ. კონსტანტინე აკოფაშვილი დაიბადა 1991
წელს მცხეთაში. ხოლო ბავშვობის წლები გაატარა
ვალეში; მისი მოძღვრის, მამა იეჟი შიმეროვსკის
დამსახურებით, ჯერ კიდევ მე-4 კლასის მოსწავლე
მღვდლობაზე ოცნებობდა და ამის შესახებ პატარა
წერილიც დაწერა. 2010 წელს, საშუალო სკოლის
დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად
გაემგზავრა ყაზახეთის სემინარიაში, რომელიც
დაამთავრა 2015 წელს, რის შემდეგაც კრაკოვის
იოანე პავლე მეორის პონტიფიკურ უნივერსიტეტ-
ში დაიცვა მაგისტრის ხარისხი თემაზე - „მიხილ
თამარაშვილი და მე-19 საუკუნის კათოლიკეები“.
2016 წელს ჰქონდა პატივი, ესაუბრა რომის პაპ
ფრანცისკესთან და მიეღო რჩევები და დარიგე-
ბები. ამავე წელს გადაწყვიტა, მცირედი „პაუზა“
აელო სასულიერო გზაზე და მეტი დრო დაეთმო
ფიქრისა და საერო საქმიანობისათვის, რამაც ხელი
შეუწყო მის პიროვნულ ზრდას. სხვადასხვა დროს
მუშაობდა საგზაო სამსახურში, კავკასიის ლათინ
კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციაში
(კურიაში) და სულხან-საბას უნივერსიტეტში, 2018
წლიდან კი - საქართველის კათოლიკე ახალგაზ-
რდების ცენტრში, სადაც და ვერონიკა ოჰართან
ერთად ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობებს.
2021 წლის ნოემბერში მეუფე ჯუზეპემ იგი გაგ-
ზავნა სტიგმატინ ბერებთან, სადაც იმყოფებოდა
გარკვეული დროის განმავლობაში.

ჩვენი საკრებულოს სახელით, ვულოცავთ კონ-
სტანტინეს დიაკვნად ხელდასმას, ვუსურვებთ,
რომ მის მიერ განვლილი გზა ყოფილიყოს ნათელი
და სამართლიანი. ამენ.

ხიზაბავრის ეკლესიის დღეობა

ხიზაბავრის ეკლესიის დღესასწაულზე წმ. ნირვა მესხეთის დეკანოზმა, მამა ანჟეი გრაჩეკმა ალაგლინა. ქადაგება წარმოთქვა პაპუა ახალ გვინეაში მისიით მყოფმა პოლონელმა მღვდელმა, მიხალ სკუბისმა. მან მოკლედ ისაუბრა იესოს უწმიდესი გულის დღესასწაულის დაარსების შესახებ და განმარტა მონაკვეთი ლუკას სახარებიდან: „იესოს გულისადმი თაყვანისცემის გამო უფალი დაგვიპირდა არა რაიმე მატერიალურ საზღაურს, წარმატებასა და სიმდიდრეს, არამედ სულიერ სიკეთეს. დაგვიპირდა, რომ ვინც თაყვანს სცემდა იესოს გულს, მის ცხოვრებაში ყველაფერი შეთანხმებულად იქნებოდა, სირთულეების მიუხედავად, მას არ გაუჭირდებოდა იესოს კვალდაკვალ სიარული. გარდა ამისა, კიდევ ერთი სხვა დაპირება მისცა უფალმა მონაზონს, რომ ვინც ცხრა თვის განმავლობაში ყოველი თვის პირველ პარასკევს ეზიარებოდა, ის უეჭველად დაიმკვიდრებდა სასუფეველს და ამ ქვეყნიდან წავიდოდა ღმერთთან შერიგებული. დღეს ეკლესიაში ამ დღესასწაულზე იკითხება სახარება „კეთილი მწყემსის“ შესახებ, რომლის საშუალებითაც ვგებულობთ თუ რას ნიშნავს იესოს გული“.

სადღესასწაულო წირვაში მონაწილეობდნენ კათოლიკე სასულიერო პირები: წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარი, მამა მაჩეი მამაი; კამილიელი ძმები, მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯი და მამა ლაშა მანუკიანი; გორისა და ბეთლემის მოძღვარი, მამა დარიუშ კომადოვსკი; მისიონერი პაპუა ახალი გვინეიდან, მამა მიხალ სკუბისი; ახალციხის სამრევლოდან ფრანცისკელი ბერი, მამა პეტრე გუდალევისკი; არლის სამრევლოს ვიკარი, მამა ბექა ჩილინგარაშვილი და თავად ხიზაბავრის ტაძრის წინამძღვარი, მამა აკაკი ჭელიძე. ასევე, კამილიელთა ორდენის მონაზვნები, დიაკვნები და სხვადასხვა სამრევლოს წარმომადგენლები. გარდა ამისა, მამა ბექა ჩილინგარაშვილის ინიციატივით, ზეიმს სოფელ უდიდან შეუერთდა ბანაკის მონაწილე ოცამდე ბავშვი და ანიმატორი.

როგორც ხიზაბავრაში მცხოვრები გულნაზი კალიაჯიშვილი აღნიშნავს, აქაურებისთვის ტაძრის დღესასწაული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „ჩვენი ეკლესია ერთადერთია საქართველოში,



რომელიც იესოს უწმიდესი გულისადმია მიძღვნილი. ეს ტაძარი ჩვენთვის იესოს გულივითაა და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ იესო მუდამ ჩვენს გულშია და ეს გული უნდა გავხსნათ. იესოს მიერ მოცემული სიყვარულის მცნებაზე დგას ეს ეკლესია“.

წმ. ნირვის დასასრულს სასულიერო პირებმა და მრევლმა ერთად ალაგლინეს ლიტანია იესოს უწმიდესი გულისადმი. მათ ეკლესიას გარს შემოუარეს მონსტრაციაში დაბრძანებული ქრისტეს სხეულის თანხლებით და ლიტანია ტაძარში დაასრულეს. ლიტურგიის დასრულების შემდეგ ხიზაბავრის სამრევლოს ბავშვებმა სტუმრებს მცირე ღონისძიება წარმოუდგინეს. ასევე გაიმართა დღის ცენტრ „ხიზაბავრას“ ბენეფიციარი შშმ პირების ნამუშევრების გამოფენაც.

იესოს უწმიდესი გულის დღესასწაული მოძრავია და იგი სულთმოფენობის მეორე კვირის პარასკევს აღინიშნება. წელს ის 24 ივნისს დაემთხვა. რაც შეეხება ტაძარს, მისი კურთხევიდან ზუსტად 122 წელი გავიდა. ტაძარი მამა მიხეილ ვარძელაშვილის დამსახურებით აშენდა. იგი ნათხოვარი ტანსაცმლით გაემგზავრა რუსეთში ფულის საშოვნელად და 30 000 მანეთი შეაგროვა. ტაძრის მშენებლობა 1896 წელს დაიწყო და 1898 წელს დასრულდა.

შენი წილი ბედნიერება

ყვავილებიანი ქათქათა ზედატანი აცვია, იმავე ფერის, ატლასის გრძელი კაბა... მუქი ლურჯი ნაჭრისგან შეკერილი პატარა ჩანთა აქვს გადაკიდებული გრძლად, შიგ ბევრი ფერადი, მინდვრის ყვავილია ერთმანეთში არეული... თავისნაირ პატარა გოგონებთან დგას... ყველა წყვილად, ერთნაირ ფორმაში... ერთი სული აქვს, პროცესია დაიწყოს და ფერადი ყვავილები გზაზე მიმოფანტოს... უხარია, ძალიან უხარია...

წინა დღით საგანგებოდ მოემზადა დღესასწაულისთვის... მინდორში წავიდა ყვავილების დასაკრეფად... ბევრი სოსანი ნახა, ვარდისფერი ყვავილებიც, ყვითლებიც... ყველა განსხვავებული ფერი მისთვის მნიშვნელოვანია... ბევრი და ლამაზი ყვავილების ნაზავი უნდა ჰქონდეს...

რეპეტიცია მწკრივში სიარულზეც გაიარა... ორად დაწყობილ გოგონებთან ერთად მთელი ხმით მღეროდა დაზეპირებულ ტექსტს და ფიქრი სულ ლამაზი ყვავილებისკენ ჰქონდა...

ჰოდა, იდგა ახლა თეთრ სამოსში გამონყობილი, ლურჯი ჩანთით, პირამდე სავსე ძალიან ფერადი ყვავილებით... მერე ანიშნეს, რომ უნდა გადაედგა ნაბიჯი და ისიც „მარშს“ აჰყვა. ფრთხილად იღებდა ჩანთიდან ფერად ყვავილებს და ძირს ფანტავდა... იმავეს აკეთებდნენ მის წინ და უკან მდგარი გოგონებიც და მისივე მენყვილაც... რომლის სახე არც

ახსოვს და ალბათ არც გახსენების მცდელობას აქვს აზრი, იმიტომ, რომ ფერადი ყვავილების მიწაზე ფანტვა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ დროს...

როცა ვინმეს ყვავილების მარაგი უთავდებოდა, გვერდით მიმავალი დამხმარეები უმატებდნენ ლურჯ ჩანთებში... მაგრამ გოგონამ იცოდა, რომ მას დამატება არ დასჭირდებოდა...

და მიდიოდა ასე, თეთრ სამოსში გამონყობილი ალბათ ოცდაათამდე პატარა გოგო, ორ მწკრივად, ერთმანეთის გვერდიგვერდ... და ფანტავდნენ ფერადი, ლამაზი ყვავილების ფურცლებს მიწაზე... ყვავილების ბილიკზე კი ცოცხალი საიდუმლო მოჰქონდა გრძელსამოსიან წინამძღოლს...

იმ დროს ვერცერთი აცნობიერებდა დღესასწაულის მნიშვნელობას...

ახლა კი გოგომ იცის, რა იყო ეს... იცის და რას არ მისცემდა, იმ პერიოდში რომ დაბრუნებულიყო, რამდენიმე წუთით მაინც...

ახლა ის დღესასწაული მას იასამნისფრად ახსენდება... მკვეთრ იასამნისფერად... და ის დღე მოხუცი ბაბოს მშვიდი და კმაყოფილი ღიმილით იწყება... დღესასწაულს „ვარდისშეყრას“ ეძახდნენ...

და მას უკვე წლებია დააკლდა თეთრსამოსიანი, ჭრელი ყვავილებით სავსე ჩანთაგადაკიდებული გოგონა...



სტიმატინ მამათა დღესასწაული ქუთაისში



15 ივნისს ქუთაისის სამრევლოში სტიმატინ მამათა დღესასწაული აღინიშნა. წმ. ნირვა ეპისკოპოსმა ფუზეპე პაზოტომ აღავლინა კათოლიკე სასულიერო პირებთან ერთად.

წირვის შემდეგ „საქართველოს კარიტასის“ ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ბავშვებმა წარმოადგინეს ღონისძიება, რომელსაც სასულიერო პირები დაესწრნენ.

კათოლიკე ეკლესია 12 ივნისს მოიხსენიებს სტიმატინთა კონგრეგაციის დამაარსებელს, წმ. გასპარე ბერტონის. იგი იყო კათოლიკე მღვდელი, რომელიც

ცხოვრობდა იტალიის ქალაქ ვერონაში, 1777-1853 წლებში, ვენეტოს რეგიონის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში. გარკვეული დროის განმავლობაში, ეს ქალაქი ავსტრიასა და საფრანგეთს შორის ომის ცენტრალური ადგილი გახდა.

მამა ბერტონი ამ საშინელი პრობლემების მოგვარებას სამოციქულო მისიონერული ქველმოქმედებისა და სხვების მიმართ ზრუნვის გზით ცდილობდა. მან დააარსა წმიდა სტიმატინთა კონგრეგაცია (სტიმატინელები) - „ეპისკოპოსთა დამხმარე სამოციქულო მისიონერები“.



ევანჯელიზაცია - „რა ანათებს ცაზე, ანუ საიდან ჩნდებიან წმიდანები“

14 ივლისს კათოლიკე ეკლესია მოიხსენიებს წმიდა კამილო დე ლელისს (1550 - 1614).

ამ ყმანვილის ქვეყნად მოვლინება იტალიურ ქალაქ ბუკიანიკოში (Buc-chianico), ნეაპოლის სამეფოში, უჩვეულო რამ იყო. რატომ? იმიტომ, რომ დედამისი, ქალბატონი დე ლელისი იმ დროს თითქმის სამოცი წლის გახლდათ. ის სიხარულით ელოდა შვილის დაბადებას, როცა მოულოდნელად ნახა სიზმარი! მისი ვაჟი წინ მიუძღოდა შავებში ჩაცმულ მამაკაცებს, რომელთაგან ყველას მკერდზე წითელი ჯვარი ჰქონდა. მაშინლა შეეშინდა, რაც სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან აქამდე მსგავსი ჯვარი მარტო სიკვდილმისჯილ დამნაშავეებთან უნახავს. ეშინოდა, რომ მისი ვაჟი ყაჩაღების მეთაური გახდებოდა. გიკვირს? არადა კამილოს პირველი წლები ასეთ მოლოდინს მხოლოდ ადასტურებდა. იმ დროს ყმანვილი ფეთქებადი ხასიათით გამოირჩეოდა, უყვარდა ბრძოლა, ცხენით სიარული და მწვერვალების დაპყრობა.

ერთ დღეს ფეხზე უცნაური წყლული გაუჩნდა. ამის გამო მოხვდა რომში მდებარე წმ. იაკობის სახელობის საავადმყოფოში, მაგრამ ოცი წლის კამილომ, რომელსაც მაშინ არც ფული და არც მოთმინების უნარი ჰქონდა, შეწყვიტა მკურნალობა და თურქებთან საომრად გაემართა. ბრძოლისას უმართლებდა; თუმცა მალევე მთელი მოპოვებული ქონება ბანქოში წააგო. ამის შემდეგ მოუწია მათხოვრობა ქალაქ მანფრედონიში, კაპუცინელთა ტაძრის კარებთან. მაშინ ერთ-ერთმა ბერმა ტაძრის მშენებლობაზე სამსახური შესთავაზა. ამის შედეგად, კამილომ ღრმა მოქცევა განიცადა. სურდა ცხოვრების ბოლომდე კაპუცინელებთან დარჩენილიყო, მაგრამ ფეხზე წყლული კვლავ გაეხსნა, და მოუწია დაბრუნება საავადმყოფოში, სადაც მან ოთხი წელი გაატარა.

ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კამილოს მოთმინების უნარი გაზრდილიყო. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ მისი აღმსარებელი მაშინ იყო: ვერც კი წარმოიდგენ - წმ. ფილიპე ნერი! კამილო ამ დროს საკუთარი ნებით უვლი-



და მძიმედ დასნეულებულებს, ხოლო როცა ჭრილობა შეუხორცდა, დაბრუნდა კაპუცინელებთან. სამწუხაროდ, სულ მალე, არა, არ ვხუმრობ, ჭრილობა ხელახლა გაეხსნა. მაშინ კი მიხვდა, რომ ღმერთი სულ სხვა ხვედრს უმზადებდა. ამრიგად, გაემგზავრა რომში. იქ ექიმი მის ფეხს უვლიდა, თავად კამილო კი თეოლოგიის სწავლით იყო დაკავებული. გახდა მღვდელი, ცოტა ხანში კი არჩეულ იქნა იმ ორდენის გენერლად, რომელიც დღესდღეობით კამილიელთა ორდენის სახელით არის ცნობილი და რომლის წევრებიც შავ ხაბიტსა და მკერდზე წითელ ჯვარს ატარებენ.

პოლონეთში კამილიელები უვლიან ნარკოდამოკიდებულ, AID-ითა და HIV-ით ვირუსით დაავადებულ პირებს. წარმოგიდგენია, რას ჰგავს მათი სამუშაო? ან იქნებ თავად ნამყოფი ხარ საავადმყოფოში და შენი გული მიუძღვენი მას, ვინც შენზე უფრო მძიმედ ავადმყოფობდა?

წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავი (1992- 2022)



1.წმიდა საყდრის დიპლომატიური ურთიერთობები

წმიდა საყდარს დიპლომატიური ურთიერთობები აქვს 185 სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, საქართველოს ჩათვლით (ყოველწლიური პონტიფიკური ცნობარი (Annuario Pontificio), ვატიკანი 2021, გვ. 1251-1305). ვატიკანი წმიდა საყდრის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ წმიდა საყდარი ქალაქ ვატიკანის სახელმწიფოს გეოპოლიტიკური პერიმეტრით როდი შემოსაზღვრება. მართლაც, წმიდა საყდარი არის კათოლიკური ეკლესიის ხელისუფალი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რეზიდენციით ვატიკანის ქალაქის სახელმწიფოში, რომელიც სუვერენული ტერიტორიაა და მოიცავს 0,44 კვადრატულ კილომეტრს. ასე რომ, პაპი ფრანცისკე არის როგორც ქალაქ ვატიკანის სახელმწიფოს, ასევე წმიდა საყდრის მეთაური. წმიდა საყდარი მოქმედებს და საუბრობს დედამიწაზე გავრცელებული მთელი კათოლიკური ეკლესიის სახელით და აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ, როგორც სუვერენული იურიდიული ერთეული. წმიდა საყდარი, როგორც რეალობა, ქრისტიანობის ისტორიის პირველ საუკუნეებში იღებს სათავეს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ელჩი ოფიციალურად სწორედ წმიდა საყდართანაა აკრედიტებული და არა ქალაქ ვატიკანის სახელმწიფოში. პაპის წარმომადგენლები და წმიდა საყდრის დესპანები (ელჩები) სხვადასხვა სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ოფიციალურად აკრედიტებულნი და აღიარებულნი არიან, როგორც წმიდა საყდრის დიპლომატები.

როგორც სუვერენული ერთეული, წმიდა საყდარი ფიგურირებს მსოფლიო გეო-პოლიტიკურ სცენაზე და პაპი ფრანცისკეც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზნეობრივი ხმაა. წმიდა საყდარი წარმოადგენს კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც 1,4 მილიარდ მორწმუნეს (დედამიწის მოსახლეობის 17,5 %-ზე მეტს) აერთიანებს, რომელთაც თავისი 500 000 მღვდლის, 800 000 მონაზვნისა და 219 655 სამრევლოს მეშვეობით ემ-

სახურება (წმიდა საყდრის სტატისტიკა, 2020, ვატიკანი). იგი მუდმივ დიალოგს ინარჩუნებს ორ დანარჩენ აბრამისულ რწმენასთან - ისლამთან და იუდაიზმთან.

პაპ ფრანცისკეს წვლილი საერთაშორისო საკითხებში ყველა ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია. წმიდა საყდარი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი, ავტორიტეტული და ჭეშმარიტად გლობალური მასშტაბის ინსტიტუციაა. მასთან აკრედიტებული საელჩოები ყოველთვის ითვალისწინებდნენ მის აზრს მსოფლიოში არსებული სიტუაციის ირგვლივ. პაპი ფრანცისკე, თავისი წინამორბედების მსგავსად, მუდამ აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საზოგადოებასთან ისეთ სფეროებში, როგორცაა მშვიდობის დაცვა, ადამიანის ღირსება, სოციალური სამართლიანობა, დემოკრატია, ეკოლოგია და სხვ. უკანასკნელ წლებში წმიდა საყდარი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო საკითხებში, როგორცაა სამშვიდობო პროცესი ჩილესა და არგენტინას შორის ბიგლის არხთან დაკავშირებით, სამშვიდობო პროცესი ჩრდილოეთ ირლანდიაში, „კედლის დანგრევის“ შემდგომი გარდამავალი პროცესები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. დედოფალმა ელიზაბეტამ განაცხადა: „... დიდად ვაფასებთ წმიდა საყდრის ჩართულობას... ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტოტალიტარული რეჟიმების დაცემის საქმეში, რამაც მეტი თავისუფლება მოუტანა ასობით მილიონ ადამიანს. წმიდა საყდარს კვლავ მნიშვნელოვანი როლი აკისრია საერთაშორისო საკითხებში, მშვიდობის მხარდაჭერისა და განვითარების საქმეში, ისეთი საერთო პრობლემების გადაჭრაში, როგორცაა სიღარიბე და კლიმატური ცვლილებები“ (მისი უდიდებულესობა დედოფალი, მიმართვა პაპისადმი, ედინბურგი, 2010 წლის 16 სექტემბერი).

საუკუნეების მანძილზე პაპებს, პაპი ფრანცისკეს ჩათვლით, დიდი წვლილი მიუძღვით ადამიანის ღირსების დაცვისა და სოლიდარობის მხარდაჭერის საქმეში, დაწყებული ღარიბებითა და გარიყული ადამიანებით. პაპმა მოითხოვა „ახლებური მიდგომები“ ადამიანის პირობების გასაუმჯობესებლად საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა თავისუფლება და რელიგია, ცხოვრების ხარისხი, შრომისა და განათლების უფლება. ოჯახების, ლტოლვილების, მიგრანტებისა და დევნილების მხარდაჭერა, ყველასათვის ღია და უფასო საბავისო სამედიცინო დახმარების მიღების უფლება, სიღარიბის აღმოფხვრა, გარემოს დაცვა და განიარაღება (პაპ ფრანცისკეს ენციკლიკა „მანო ყოველნი“, ვატიკანი, 2020 წლის ოქტომბერი).

წმიდა საყდრის დიპლომატია ისმენს მათ ხმას, ვისაც არავინ უსმენს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზნეობრივ ფასეულობებს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო დღის წესრიგში.

გამრძელება შემდგომ ნომერში

კამერული ეკლესია



ჩინეთში, ცინდაოს მთიან რაიონში, გერმანულ-ჩინური არქიტექტურული ფირმის Büro Ziyu Zhuang-ის დაკვეთით, 2021 წელს აიგო ე.წ. კამერული ეკლესია. იგი აღმართულია სპეციალურად მოწყობილ მოედანზე. მრავალფენიანი ალუმინის თეთრი, სადა ფასადი, რომელშიც არ არის გამოყენებული საეკლესიო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რომელიმე მორთულობა, ქმნის არამინიერ განცდას. ეკლესიის უკანა მხარეს მოწყობილია ხელოვნური ტბა.

კავშირი ტრადიციასთან

თანამედროვე სახის შესაქმნელად საჭირო იყო ისეთი სუფთა ფორმა, რომელიც მნახველს კვლავ გაახსენებდა საეკლესიო ნაგებობათა პირველსახეს. ამიტომაც, პროექტის შედგენისას, გააერთიანეს ტრადიციული ეკლესიების ფასადთა სხვადასხვა სახეები. მიღებული საბაზისო მოცულობა გამოიხატება ჭრილების წყებათა მეშვეობით. შექმნილი კონტური შეესაბამება დამკვეთთა და მნახველთა მიერ აღქმულ სივრცეს, მათ პირველ ვიზუალურ შთაბეჭდილებას. თანმიმდევრული ჭრილები წარმოდგენილია თანამედროვე, ლაკონური სახით,

ხოლო ფასადის ღიად დარჩენილი ადგილები ქმნის განსხვავებულ ვიზუალურ ეფექტს, დამკვირვებლის ხედვიდან გამომდინარე.

შექმნილ ძეგლში ასევე წარმოდგენილია ეკლესიასთან დაკავშირებული კლასიკური კომპონენტები, როგორცაა სამრეკლო შპილებით და ვიტრაჟული როზეტი, კასკადური შიდა თალები და ბაზილიკის ფორმა, მაგრამ დეკორატიული ელემენტების უმეტესობა აბსტრაგირებულია - არა ორნამენტის პრინციპული უარყოფის გამო, არამედ იმისთვის, რომ გამოვლინდეს როგორც არქექტიპისა და ექსპერიმენტის ურთიერთქმედება, ასევე მასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა: ღვთაებრიობა და სარიტუალო დანიშნულება.

ჭრილები, ნაგრძელებული ღერძი, სიმეტრიული განლაგება, პერსპექტიული ფასადი, სექციების რიტმი - ეს ყოველივე ტრადიციის პატივისცემა და განვითარებაა. ტრადიციული ფესვების გათვალისწინებით, შენობის განლაგება და ძირითადი მიმართულება მკაცრად ორიენტირებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ადგილის რელიეფი იცვლის სიმაღლეს შენობის წინა კიდე-თან და ბუნებრივად ყოფს მიდამოს: შენობის წინა



მოედანსა და ხელოვნური ტბით დამშვენებული შენობის უკანა მხარეს. ექსტერიერის ლანდშაფტური ნაწილი წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ხელოვნური ტბით, განმარტოების განცდის შესაქმნელად, ხოლო მეორე მხრივ, მორწმუნეთა შეკრებისათვის განკუთვნილი მოედნის ღია სივრცით. არქიტექტორებმა გამოიყენეს ტრადიციული საეკლესიო არქიტექტურისათვის დამახასიათებელი საფეხურებიანი შესასვლელი, რომელიც შეუმჩნეველს ხდის სიმაღლის სხვაობას ეკლესიასა და წინამდებარე მოედანს შორის. ყოველივე ეს ვიზუალურად ხაზს უსვამს რიტუ-

ალის მნიშვნელობას და მთავარი დარბაზის საკრალურ ხასიათს. შენობის ქვედა ნაწილი განკუთვნილია სალოცავის დამხმარე სათავსოსთვის. ეკლესიის მთავარი შესასვლელისკენ მიმავალ გზას სამხრეთის მხრიდან მიყვავართ დასავლეთ პორტალისაკენ. მოედნის ჩრდილო-დასავლეთით არის ალტერნატიული გზა.

ეკლესიის უკანა ხედი ერწყმის ტბას და არბილებს შენობის კონსტრუქციის სიმკაცრეს. კუნძული ტბაში ქმნის კონტრასტს დარბაზის ცენტრალურ ღერძთან და აქრობს სიმეტრიის დაძაბულობას. არქიტექტურული პროგრამა უპირატესობას ანი-

ჭებს შიდა სივრცეს. ლანდშაფტურ ფერდობთა წყება, რომელიც კეტავს ხედს ტბის მიღმა, გამოყენებულია როგორც პასიური სივრცე, რომელსაც შეგვიძლია ვუმზიროთ დარბაზის ინტერიერიდან.

მღვიმეები და მარადისობა

სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარებამდე პირველყოფილი ადამიანებისთვის პირველი დაცული სივრცე იყო



გამოქვაბული, რომელსაც ისინი სიცივის, ქარის, წვიმის, მზისა და საშიში ცხოველებისაგან თავდასაცავად იყენებდნენ. მათი მღვიმესებრი ფორმა ღრმად ჩაინერგა ადამიანის დნმ-ში, როგორც უსაფრთხოების ნიშანი. უსაფრთხოების ეს გრძნობა გამყარდა ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად. გამოქვაბულები ასევე წარმოადგენდნენ წმინდა რიტუალურ ადგილს, როგორცაა, მაგალითად, ლასკოს ან ალტამირას გამოქვაბულები.



ამგვარად, ეკლესიის მთავარი დარბაზის მღვიმისებრი სივრცე ქმნის სიმშვიდის, დაცულობისა და თავშესაფრის განცდას, როგორც ოდესღაც ქმნიდა გამოქვაბული. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც უძღვებიან ცერემონიას, ეს კიდევ ერთი წინაპირობაა რიტუალისა და სინმიდის ერთობლიობის განცდის შესაქმნელად, რაც ინვესტს რეალურ და სულიერ განზომილებებს შორის კავშირს. ეკლესიის ინტერიერში



ან შავი ხვრელები კოსმოსში, აფეთქებული ზეახალი ვარსკვლავები, დედის ნიალი... ამ ყოველივემ ღრმად გაიდგა ფესვი ადამიანის ქვეცნობიერში, რაც საშუალებას იძლევა, კიდევ უფრო გავცდეთ ფორმას და გავესაუბროთ ზეციურსა და მიწიერს.

ძირითადი განლაგება აგრძელებს ბაზილიკის ტრადიციულ ფორმას, მაგრამ, ამავე დროს, შემოაქვს დენადობის ძლიერი შეგრძნება. ექსტერიერის სიმკაცრისგან მკვეთრად განსხვავებული ეს სირბილე ქმნის ვიზუალურ ურთიერთქმედებას ინტერიერსა და ექსტერიერს შორის. კონსტრუქციიდან გამომდინ-

ნარე, გრძივ მონაკვეთში ჩნდება ნაცრისფერი ტონები, რაც ზრდის შუქ-ჩრდილის თამაშის ეფექტის შესაძლებლობას.

სინათლე ინტერიერში

მთელ ნაგებობაში გრძივი ღერძის გასწვრივ ინტერვალებია, რომლებიც სინათლის შეღწევის საშუალებას იძლევა და დღის შუქი თანაბრად და ნაზად ვრცელდება ინტერიერში. დღის განმავლობაში მზის სხივების დახრილობის კუთხის ცვალებადობა ქმნის სხვადასხვაგვარ ვიზუალურ ეფექტს. პირდაპირი და არეკლილი სინათლის თამაში „გამოქვაბულში“ ღვთაებრიო-



შეუმჩნეველია გარე ფასადების მკვეთრი გეომეტრიული კონტურები. მისი კონსტრუქცია მღვიმისებრ სივრცეში ნათელ ატმოსფეროს ქმნის.

პროექტირების პროცესში მეტად გამახვილდა ყურადღება მღვიმისებრ სივრცეზე. ის ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბუნების ქმნილებათა ნყება: გარდა გამოქვაბულებისა, რომლებიც ასობით ათასი წლის განმავლობაში იცავდნენ ადამიანებს, ცისფერი ხვრელები ოკეანეებში



ბისა და, იმავდროულად, ალტაცების განცდას იწვევს. იქმნება დაცულობისა და სულიერების ატმოსფერო. ეს საუკეთესოდ არის გადმოცემული ლეონარდო და ვინჩის ცნობილ ტილოში „მადონა მლვიმეში“.

შენობა ღამით მსუბუქადაა განათებული, ინტერიერიდან გამომავალი სინათლე გამვლელებს უქმნის სინმიდის განცდას. ფორმა უნიკალურადაა აგებული: ვერტიკალურად განლაგებული ალუმინის (გარედან) და GRG (შიგნით) ფირფიტების მწკრივი, თითოეული 5 სმ სისქის, ფირფიტებს შორის ინტერვალი 40 სმ. ყველა ნაწილი, მათ შორის, კედელი, სახურავი და კოშკი გაერთიანებულია. კასკადურად განლაგებული თეთრი ჭრილები ამსუბუქებს ინტერიერის განათებას, ფარავს შენობის მთავარ ჩარჩოს და სტრუქტურულ სისტემას, უქმნის მთელ ანსამბლს ლაკონურ და მკაცრ ატმოსფეროს, რაც ერთდროულად თანამედროვე ესთეტიკური ტენდენციაცაა და ძველი ტრადიციის გამოძახილიც - მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის შერწყმა.

ეს გარემო განსაზღვრავს დამკვირვებლის განწყობას: შეკრების სიხარულის მოლოდინს, მრევლის ერთიანობას. ინტერიერში ყოველი მხრიდან შესაძლებელია მზერა მივაპყროთ ცას, რაც იწვევს ადამიანის ბუნებასთან და ზეციურთან კავშირის განცდას.

სტრუქტურა და შინაარსი

საეკლესიო ნაგებობის სტრუქტურა, როგორც ძირითადი ელემენტი, ყოველთვის ხორციელდება არქიტექტურული სივრცის დაგეგმარებაში: ტრადიციული დასავლური ეკლესიების გუმბათებიდან და საყრდენებიდან დაწყებული ჩინური დარბაზების დიდ ფრონტონებსა და აპრეხილ კარნიზებამდე.

შენობის ძირითადი სივრცე,

გარდა სამრეკლოსი, იძენს პორტალის ფოლადის ჩარჩოების რიგის კონსტრუქციულ ფორმას. ეს ჩარჩოები განლაგებულია თეთრი არქიტექტურული ჭრილების შესაბამისად, რაც ამ ჭრილებს ნამდვილად აქცევს ფორმალური ენისა და მთავარი დარბაზის სივრცითი დაგეგმარების საგნად. ამავ დროს, იგი სტრუქტურული თვალსაზრისითაც შეესაბამება ტრადიციულ საეკლესიო პროტოტიპს.

პორტალის ფოლადის ჩარჩოები შედგება ძირითადი ჩარჩოების 11 და 10x6 ქვეჩარჩოების კომპლექტისაგან. ძირითადი ჩარჩოები განსაზღვრავს ეკლესიის ჰორიზონტალურ გარე კონტურებს, ხოლო დამხმარე ჩარჩოები, კოჭების მეშვეობით, განსაზღვრავს დარბაზის ინტერიერის მლვიმისებრ სივრცულ მოხაზულობას. გარე და შიდა კონტურები ასევე ქმნიან ურთიერთმიმართებას შენობის გარეგნულ სიმკაცრესა და ინტერიერის სირბილეს შორის.

პორტალის ფოლადის ჩარჩოები ერთმანეთთან დაკავშირებულია სტრუქტურულ ღერძთა

ორი დონის საშუალებით: მთავარი კოჭი აკავშირებს ფოლადის ყველა ჩარჩოს, მკაფიოდ გამოყოფს ეკლესიის გრძივ გარე კონტურებს. მეორეხარისხოვანი კოჭები ძირითადისგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი განზრახ არიან გადაადგილებული კონსტრუქციაში. ერთი მხრივ, საყრდენებს შორის მანძილი ვიზუალურად მცირდება მათი გადიდების გარეშე, რის შედეგადაც მთელი შენობა ქმნის ყუთისებრ ფორმას. მეორე მხრივ, მეორადი კოჭები ერთდროულად ხდება ფასადის სტრუქტურის საფუძველი, რაც უზრუნველყოფს საიდინგისა (ფასადისა და კედლების მოპირკეთება) და კონსტრუქციის ინტეგრაციას.

ავტორთა აზრით, არქიტექტურაში მთავარია სივრცისა და შინაარსის ურთიერთმიმართება. სივრცის პირველსახე შეფარდებულია შინაარსთან, აქვს მუდმივი კავშირი დროსა და ადგილთან, წარსულსა და აწმყოსთან. დიზაინი სცდება სივრცის ფუნქციონალური განსაზღვრის ფარგლებს და ქმნის სულიერი სიმშვიდით აღსავსე გარემოს.



„საბაუნა“ ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს უმასპინძლა

მიმდინარე წლის 18-19 მაისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „გამძლეობა და აღდგენა“: გამონვევები უკრაინასა და სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებისთვის“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს შვიდი ქვეყნის (უკრაინის, ამერიკის, იტალიის, ხორვატიის, სლოვაკეთის, უნგრეთის, პოლონეთის), უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ომისადმი წინააღმდეგობის განწევის, ომის შემდგომ განახლებისა თუ აღმშენებლობის საქმეში უნივერსიტეტების სტრატეგიის საკითხებსა და როლს. როგორც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორმა - ვაჟა ვარდიძემ განაცხადა, კონფერენციის მსვლელობისას ყურადღება დაეთმო ყველა იმ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხს, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში ქვეყნის აღმშენებლობისთვის აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამ მიზნით, კონფერენციის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებს საკუთარი პრაქტიკა გაუზიარეს. შერეულ ფორმატში აღნიშნული საკითხის განხილვისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მთავარ ამოცანად დასახელდა ფსიქოემოციური ფონის დაძლევა, საზოგადოების ხელახალი ფორმირების ხელშეწყობა, კადრების მომზადება-გადამზადების საჭიროება, საერთაშორისო პარტნიორობის მხარდაჭერის გაძლიერება.

„მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა დავსწრებოდი კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგებს და იმ გამონვევებს, რომლის წინაშეც დგას მსოფლიო“, - აღნიშნა უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, ნატალია იაკუშეცმა.

„სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულმა საერთაშორისო კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა, თუ რა გამონვევების წინაშე ვდგავართ მსოფლიოს უნივერსიტეტები მიმდინარე ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. შვიდი ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებმა ვისაუბრეთ, თუ როგორ შეიძლება დავძლიოთ არსებული გამონვევები და



გავალმავოთ თანამშრომლობა ჩვენს უნივერსიტებს შორის და, აგრეთვე, გამოვუცხადოთ სოლიდარობა უკრაინის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს“, - აღნიშნა „ნოტრ დამის“ უნივერსიტეტის (ამერიკა) პროფესორმა და ნანოვიკის ევროპათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, კლემენს სედმაკმა.

კონფერენციაზე ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი გახლდათ. კონფერენციას დაესწრნენ დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების სფეროს წარმომადგენლები.

კონფერენცია ჩატარდა „ნოტრ დამის“ უნივერსიტეტთან პარტნიორობით „კათოლიკური უნივერსიტეტების პარტნიორობის“ ფარგლებში. „კათოლიკური უნივერსიტეტების პარტნიორობა“ (Catholic Universities Partnership - CUP) არის კათოლიკური უნივერსიტეტების ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობს „ნოტრ დამის“ უნივერსიტეტთან არსებული ნანოვიკის ინსტიტუტი (აშშ) და მიზნად ისახავს კათოლიკური უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მხარდაჭერასა და განვითარებაში ხელშეწყობას პოსტ-კომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ევროპაში. ქსელში განვითარებულია ევროპის 6 ქვეყნის 6 უნივერსიტეტი: პეტერ-პაზმანის კათოლიკური უნივერსიტეტი (უნგრეთი), ხორვატიის კათოლიკური უნივერსიტეტი (ხორვატია), რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი), ლუბლინის იოანე-პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი), უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტი (უკრაინა), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (საქართველო).

მამა ალექსანდრე მენი და პაპი ფრანცისკა: არაშემთხვევითი დაშთხვევა



ივ ამანი, ფრანგი ისტორიკოსი, პარიზის უნი-ვერსიტეტის X-Nanterre პროფესორი, ბევრ საერთოს პოულობს პაპ ფრანცისკესა და დეკანოზ ალექსანდრე მენის (1935-1990) მისიონერულ ქადაგებაში. ეს მოძღვარნი ერთმანეთს არ იცნობდნენ, ისინი მიეკუთვნებიან სხვადასხვა ეპოქას, კონფესიას; „აქ საუბარიც არ შეიძლება ურთიერთგავლენაზე“, მაგრამ ეს დაშთხვევები შემთხვევითი არ არის. ამის შესახებ ივ ამანმა ისაუბრა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მამა ალექსანდრე მენის დაბადებიდან 80 წლისთავსა და გარდაცვალებიდან 25 წლისთავს.

ივ ამანი კარგად იცნობს მოსკოვის მახლობლად მცხოვრები მოძღვრის მემკვიდრეობას - მისი მკვლევლობიდან მალევე, მან დაწერა წიგნი „მამა ალექსანდრე მენი - ქრისტეს თანამედროვე მოწამე“. პროფესორის სიტყვით, მამა ალექსანდრეს ისე ესმოდა ქრისტიანობა, როგორც ეს სერგეი ავერინცევმა განსაზღვრა: „თანამედროვე ეპოქა შესაძლებლობას აძლევს ქრისტიანობას, როგორც მისიონერულ რელიგიას, როგორც ახალმოქცეულთა რელიგიას, როგორც რელიგიას, დაფუძნებულს კეთილი უწყების დინამიკაზე“.

„კეთილი უწყების დინამიზმი“ გულისხმობს ქრისტიანთა ყურადღებას მომავალზე, ეკლესიაში თითოეული ქრისტიანის ზრდაზე. მომხსენებელმა გაიხსენა „მამა ალექსანდრეს ცნობილი სიტყვა, რომელიც მან სიკვდილამდე ორი დღით ადრე წარმოთქვა, რომ ქრისტიანობა მხოლოდ ახლა იწყება“. „დიახ, ამბობდა

მამა ალექსანდრე, ჩვენ სულის ნეანდერტალელები ვართ. ქრისტიანული იდეალი ზედმეტად მაღალია იმისთვის, რომ კაცობრიობა მისით გამსჭვალულიყო ორი ათასწლეულის მანძილზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხანი დაგვჭირდება სულიერი ზრდისათვის, ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ ამ გზით მივდივართ წინ და არა უკან“.

ეს დინამიზმი გულისხმობს აქტიურ მისიონერულ მოქმედებას. „მამა ალექსანდრე სწორედ მოძღვარი-მისიონერი იყო. მან მკაფიოდ განსაზღვრა მისიონერის ამოცანა - დაეხმაროს ხალხს ქრისტესთან მისვლაში, მიიზიდოს ხალხი ქრისტესთან“, და ამ აზრით მან ხუმრობით შეადარა თავი მეანს, იხსენებს ივ ამანი.

მას ასევე ახსოვს მამა ალექსანდრეს სიტყვები, რომ ქრისტიანებმა უნდა გამონახონ საერთო ენა თავის ურწმუნო თანამედროვეებთან - „მათთან სავესებით გაიგივებისა და მათგან გამიჯვნის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავსვათ თავიდან, ახლად, თითქოს პირველად, ყველა ის კითხვა, რასაც სახარება აყენებს ჩვენ წინაშე“. თავად მამა ალექსანდრეს ჰქონდა განსაკუთრებული უნარი, გამოენახა საერთო ენა ნებისმიერ ადამიანთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ეწეოდა „სახარების ინკულტურაციას თანამედროვე კულტურაში“.

„მსგავს ნიმუშს გვთავაზობს პაპი ფრანცისკე, რომელსაც მდიდარი სამწყსო გამოცდილება ჰქონდა ლათინურ ამერიკაში“, - განაგრძობს ისტორიკოსი.

პონტიფიკატის ქადაგებებში იგი აღმოაჩენს როგორც ქრისტიანობის ისტორიული დინამიზმის გაგებას, ასევე თანამედროვე ეკლესიის მისიონერული მიმართულების აშკარა უპირატესობას. ამის დასამოწმებლად იგი ამანს მოჰყავს რამდენიმე ციტატა პაპ ფრანცისკეს ბოლოდროინდელი ქადაგებებიდან. მაგალითად: „ეკლესიამ უნდა აუწყოს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: „იესო ქრისტემ გიხსნა!“ მისიონერული უწყება ყურადღებას ამახვილებს მთავარზე, აუცილებელზე, იმაზე, რაც ყველაზე მეტად ხიბლავს და იზიდავს, გულს ისე აუგიზგიზებს, როგორც ემაუსელ მონაფეებს, გადასცემს სახარების სიახლესა და სურნელს“; „სახარების ქადაგება უნდა იყოს მარტივი, ღრმა, ნათელი. სწორედ ასეთი ქადაგებიდან წარმოიშვება შემდეგ ყველა ზნეობრივი დარიგება“; „არსებობს ცდუნება, ეძებო ღმერთი წარსულში ან მომავალში. ღმერთი, რა თქმა უნდა, წარსულშია, რადგან ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ის ნიშნები, რომლებიც მან დატოვა. და ღმერთი ასევე არის მომავალში, როგორც ალექსანდრე მენი განათლებულ ებრაულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში მართლმადიდებლად მონათლა დედამ, რომელიც თავად იყო იატაკქვეშა ეკლესიის მრევლი. ალექსანდრე თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსკოვის მიმდებარე სოფლების ეკლესიებში მსახურებდა მეორეხარისხოვან თანამდებობებზე და მას არც არავინ იცნობდა თავისი მრევლის გარდა. მისი ნაშრომების უმრავლესობა ბრიუსელში იბეჭდებოდა „მ“- ფსევდონიმით. ფსევდონიმს ამოფარებას თავისი მიზეზები ჰქონდა: ერთი მხრივ, ნებისმიერი რელიგიური საქმიანობა, რომელიც სცილდებოდა ტრადიციულ რიტუალებს, უკანასკნელ ხანებამდე სასტიკად იდევნებოდა საბჭოთა მთავრობისაგან, მეორე მხრივ - მენის პოზიციას არ იწონებდა არც მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობა, რელიგიის საკითხებისადმი თავისი დოგმატური და კონსერვატიული მიდგომის გამო და არც დღეს იწონებს მას. მენის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგაც კი, მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა თანაგრძნობის ეპისტოლეში მაინც აღნიშნა, რომ გარდაცვლილი „ზოგჯერ ისეთ მოსაზრებებს გამოხატავდა, რომლებიც საგანგებო მსჯელობის გარეშე შეუძლებელია მიღებულ იქნას ეკლესიის მიერ“.

ფრანგი პროფესორი გაცხადებულია ამ დამთხვევებით, „Blagovest-info“-ს კორესპონდენტთან საუბრისას მან აღნიშნა: „თუ არ იცით, რომ ეს პაპმა ფრანცისკემ თქვა, შეიძლება იფიქროთ, რომ ეს სიტყვები მამა ალექსანდრეს ეკუთვნის“.

„ეს არ არის სხვადასხვა გარემოში მცხოვრებ მოძღვართა აზრის უბრალო დამთხვევა. ისინი პასუხობენ დროის მსგავს გამოწვევებს... როგორც ჩანს, გარკვეული წყალგამყოფი გადის არა იმდენად აღმსარებლობებს შორის, რამდენადაც ყოველ აღმსარებლობაში ქრისტიანობის სხვადასხვანაირ გაგებას შორის - სტატიკურ და დინამიკურ გაგებას შორის. ის, რაზეც რომის პაპი ფრანცისკე საუბრობს, მამა ალექსანდრემ დიდი ხნით ადრე განახორციელა ცხოვრებაში. ამიტომ სხვა კონფესიის ქრისტიანთათვის ძალზე მნიშვნელოვანია, გაეცნონ მამა ალექსანდრეს მიდგომას სამწყსო მოღვაწეობისადმი, სიღრმისეულად შეისწავლონ მისი სამწყსო გამოცდილება“, - დარწმუნებულია იგი ამანი.

მამა ალექსანდრე მენი ვერ მოესწრო 21-ე საუკუნეს. მაგრამ მომხსენებელი მას მიიჩნევს თანამედროვე „ქრისტიანი მოძღვრის მაგალითად“ სწორედ იმიტომ, რომ მისი მემკვიდრეობა ასე აქტუალურია ახლა, „ჩვენს პოსტქრისტიანულ დროში“.

ალექსანდრე მენი (1935-1990) - მე-20 საუკუნის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოდერნისტი. მოდერნისტების მეორე თაობის წარმომადგენელი. ეკუმენისტი. მისივე სახელობის რელიგიური სინდიკატის დამფუძნებელი. მოკლულ იქნა 1990 წლის 9 სექტემბერს უცნობი დამნაშავის მიერ.

ალექსანდრე მენი განათლებულ ებრაულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში მართლმადიდებლად მონათლა დედამ, რომელიც თავად იყო იატაკქვეშა ეკლესიის მრევლი. ალექსანდრე თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსკოვის მიმდებარე სოფლების ეკლესიებში მსახურებდა მეორეხარისხოვან თანამდებობებზე და მას არც არავინ იცნობდა თავისი მრევლის გარდა. მისი ნაშრომების უმრავლესობა ბრიუსელში იბეჭდებოდა „მ“- ფსევდონიმით. ფსევდონიმს ამოფარებას თავისი მიზეზები ჰქონდა: ერთი მხრივ, ნებისმიერი რელიგიური საქმიანობა, რომელიც სცილდებოდა ტრადიციულ რიტუალებს, უკანასკნელ ხანებამდე სასტიკად იდევნებოდა საბჭოთა მთავრობისაგან, მეორე მხრივ - მენის პოზიციას არ იწონებდა არც მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობა, რელიგიის საკითხებისადმი თავისი დოგმატური და კონსერვატიული მიდგომის გამო და არც დღეს იწონებს მას. მენის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგაც კი, მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა თანაგრძნობის ეპისტოლეში მაინც აღნიშნა, რომ გარდაცვლილი „ზოგჯერ ისეთ მოსაზრებებს გამოხატავდა, რომლებიც საგანგებო მსჯელობის გარეშე შეუძლებელია მიღებულ იქნას ეკლესიის მიერ“.

მენის სახელი 80-იანი წლების ბოლოს გახდა ცნობილი, სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე უცნობი მკვლელის ნაჯახი სიცოცხლეს გამოასალმებდა. ისინი, ვინც მას პირადად იცნობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ მენი თავისი შემოქმედებითი ძალის მწვერვალზე იმყოფებოდა. თომას მერტონის მსგავსად, მასაც სიცოცხლის შუა გზაზე მოუსწრო სიკვდილმა და მან ბოლომდე ვერ განახორციელა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები.

საქართველოს
რელიგიური
და სოციალური
მედიის
საერთაშორისო
ცენტრი

საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის მემორანდუმი

რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკურ ინსტიტუტსა და გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. საზეიმო ღონისძიებაში, რომელიც რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკურ ინსტიტუტში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა. მან დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა: „ჩვენი გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას უმაღლესი განათლების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქართულ უნივერსიტეტებში საერთაშორისო

ბას. სასწავლებლები განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. ასევე, დაიგეგმება აკადემიური პერსონალის მობილობა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ორი ინსტიტუტი ერთმანეთთან შეათანხმებს აკადემიურ კურსებთან დაკავშირებული სწავლებისა და დიდაქტიკის წარმოების ინიციატივებს, იმ სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელიც თითოეულ ინსტიტუტს გააჩნია. მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვით წარდგინდა გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნანა გოთუა, რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკური ინსტიტუტის რექტორი, მასტრო მონსინიორ ვინჩენცო დე გრეგორიო და წმიდა საყდართან



პროგრამების დანერგვა და მჭიდრო თანამშრომლობა ევროპულ სამეცნიერო ცენტრებთან, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით. თანამშრომლობა ისეთ ისტორიულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, როგორცაა რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკური ინსტიტუტი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული საეკლესიო გალობისა და ტრადიციული მუსიკის ფუნდამენტურ შესწავლას, მის პოპულარიზაციასა და ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში“.

მემორანდუმი ითვალისწინებს რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკურ ინსტიტუტსა და გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს შორის თანამშრომლობას სპეციალიზებული სასწავლო კურსების - სემინარების, კონცერტების, მასტერკლასებისა და კონფერენციების ორგანიზე-

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი. ღონისძიების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას გალობის უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა სასწავლებლის დეკანმა თამარ ჩხეიძემ. მემორანდუმის გაფორმების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკური ინსტიტუტის კაპელაში საორგანო და ქართული საეკლესიო მუსიკის კონცერტი გაიმართა, სადაც ანსამბლ „ბასიანის“ წევრებმა ქართული საგალობლები შეასრულეს. მემორანდუმის გაფორმების საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ბიზნესმენმა და მეცენატმა, ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელმა ივანე ჩხარტიშვილმა, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ და ანსამბლ „ბასიანის“ წევრებმა.

კათოლიკე ეკლესიამ მონაწილეობა მიიღო ჟადრაკის ჩემპიონატში

ჯადრაკის ჩემპიონატი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს საჯადრაკო ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი 12 რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა.

ჩემპიონატში კათოლიკე ეკლესია წარმომადგინეს: შოთა გიქოშვილმა (გუნდის კაპიტანი), ნათია ალღემაშვილმა, თორნიკე ლეჟავამ, პაატა ლეჟავამ, ნიკა მეტრეველმა და სესილი ლეჟავამ. წილისყრის შესაბამისად, მათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან მოუწიათ თამაში.

შვიდი ტურიდან კათოლიკეებმა 5 ქულის დაგროვება შეძლეს და 12 გუნდს შორის მეხუთე ადგილი დაიკავეს.

საპრიზო ადგილები კი ასე გადანაწილდა:

პირველი ადგილი – საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;

მეორე ადგილი – სახარების რწმენის ეკლესია;

მესამე ადგილი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.



გამარჯვებულ გუნდებს საპატიო ჯილდო გადაეცათ, დანარჩენი მონაწილეები კი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, ჯადრაკის ჩემპიონატს საფუძვლად დაედო განათლების სამინისტროს გადამწყვეტილება მომავალი სასწავლო წლიდან საქართველოს სკოლებში ჯადრაკის გაკვეთილების დაწყების შესახებ.

სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა საპატრიარქო გუნდი ვატიკანში მიემგზავრება



სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა საპატრიარქო გუნდი მიემგზავრება ვატიკანში, სადაც ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და გალობის 20 ნიმუშს წარმოადგენს. პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართველი მგალობლები სიქსტეს კაპელაში კონცერტს გამართავენ და პეტრე-პავლობის დღესასწაულთან დაკავშირებული წირვის შემდეგ წმიდა პეტრეს ტაძარში შეასრულებენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიერ შექმნილ „ავე მარიას“. ქართველი მგალობლები ვატიკანში უწმიდესის ინიციატივით, კულტურის სამინისტროსა და ვატიკანის საელჩოს ხელშეწყობით გაემგზავრებიან.

მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი - „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“



მიმდინარე წელს საზეიმოდ აღინიშნება დამოუკიდებელ საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავი. წმინდა საყდარი (ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანი) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დამყარა საქართველოს რესპუბლიკასთან და მუდმივი დიპლომატიური მისია - სადესპანო გახსნა თბილისში.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც მიმდინარე წლის 7-8 ივნისს გაიმართა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში. საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორები არიან სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციასთან არსებული კულტურის კომისია (ხელმძღვანელი მამა გაბრიელე ბრაგანტინი) და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი.

კოვიდრეგულაციების მოხსნის შემდგომ ეს იყო პირველი ფართომასშტაბიანი სამეცნიერო ფორუმი, რომელსაც უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

სიმპოზიუმი გახსნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვაჟა ვარდიძემ, სტუმრებს მიესალმა ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი სამხრეთ კავკასიაში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დამფუძნებელი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. მეუფემ ხაზი გაუსვა სამეცნიერო სიმპოზიუმების მნიშვნელობას საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში და მადლობა გადაუხადა სიმპოზიუმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. შემდგომ ვრცელი მისაღმებით წარდგა მისი უმაღლესობა, წმინდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, მთავარეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური. მისმა აღმატებულებამ თავის გამოსვ-

ლაში აქცენტი გააკეთა წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების (1992 წელს, როდესაც საქართველოში ახლად გამოცხადებული იყო დამოუკიდებლობა) საერთაშორისო მნიშვნელობაზე, ასევე, რომის პაპების, იოანე-პავლე მეორისა და პაპ ფრანცისკეს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტებზე.

საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის 30-წლიანი ურთიერთობები, ვატიკანის ხუთივე დესპანის მოღვაწეობა მიმოიხილა და შეაჯამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორმა ნუგზარ ბარდაველიძემ. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ თავის მოხსენებაში ისაუბრა საქართველოსა და წმ. საყდრის სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ მანანა ჯავახიშვილის, ნუგზარ პაპუაშვილის, მურმან პაპაშვილის, მამა გაბრიელე ბრავანტინის მოხსენებებმა.

შესვენების დროს უნივერსიტეტის ვერანდაზე „საქართველოს კარიტასმა“ წარმოადგინა მათი აღსაზრდელების მიერ დამზადებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომელთა შექმნაც შეეძლოთ მსურველებს, შემოსული თანხა კი უკრაინის დახმარების ფონდში გადაირიცხება. დამსწრე საზოგადოებას მათ ასევე გააცნეს ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები.

პროფესორმა მერაბ ლაღანიძემ წარადგინა მისი რედაქტორობით გამოცემული კრებული, რომელშიც გასულ ორ სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებები გამოქვეყნდა. ონლაინ ჩართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, მე-5 სიმპოზიუმმა დადებითი განწყობა დატოვა მონაწილეებში, რომელთა უმრავლესობა მონატრებული იყო კონფერენციაში უშუალო მონაწილეობას, ამასთანავე, ამ სამეცნიერო ფორუმის მნიშვნელოვანი დატვირთვა, ზოგადად, კათოლიკური თემატიკის და, კონკრეტულად კი, საქართველოში მდიდარი და ჯერ ბოლომდე შეუსწავლელი კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლა და პოპულარიზაცია იყო.

საუკუნეთა მანძილზე და ჩვენს დღეებშიც საქართველოში კათოლიკე ეკლესია, მისი წევრე-

ბი, მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები აკეთებენ მრავალ სასიკეთო საქმეს, რომელიც შემდგომ კათოლიკური მემკვიდრეობის საგანძურად ყალიბდება და ამ კეთილ საქმეთა შესწავლა, აღწერა, ანალიზი, შეფასება უკვე მეცნიერთა პრეროგატივაა. ხოლო სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებულები ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევენ ყველას, ვისაც სურს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის, კათოლიკეთა მიერ განხორციელებულ საქმეთა გაცნობა.



მოსტაჩიოლი - წმიდა ფრანცისკას საყვარელი ნუბბარი

ვინც იტალიაში ყოფილა, ალბათ გაუსინჯავს ტრადიციული ნუშის ნამცხვარი „მოსტაჩიოლი“, განსაკუთრებით პოპულარული ცენტრალურ და სამხრეთ რეგიონებში. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ეს იყო წმიდა ფრანცისკე ასიზელის საყვარელი ნუგბარი, თუმცა, დანარჩენად, ის თავს იტანჯავდა მკაცრი მარხვით, საკვებს ნაცარსაც კი უმატებდა, რომ უგემური ყოფილიყო. ამით გამოიხატებოდა მისი დაუღალავი სინანული.

თუმცა ასიზელი ლატაკი მიიჩნევდა, რომ უარის თქმა საჭმელზე, რომლითაც გიმასპინძლებიან სტუმართმოყვარეობისა ან მაღლიერების ნიშნად, ქრისტიანული არ იყო. ამიტომ ფრანცისკე მუდამ სიხარულით თანხმდებოდა, როდესაც მას სტუმრად იწვევდა ქალბატონი ჯაკომა დე სტეზოლი (Giacoma de Settesoli), ღვთისმოსავი ქვრივი რომის ერთ-ერთი უმდიდრესი და წარჩინებული ოჯახიდან, რომელსაც გული აუჩუყა მისმა ქადაგებამ. ქალბატონი სტეზოლი ზრუნავდა ფრანცისკესა და ძმებზე, მათ ხანდახან აძლევდა თბილ ქსოვილებს მოკრძალებული სამონაზვნო სამოსისათვის, ცვილსა და სხვა საჭირო ნივთებს, რასაც თან დაურთავდა ხოლმე ნუშის ნამცხვარს, ცოტათი მაინც რომ დაეტკბო გლახაკ ძმათა მძიმე ცხოვრება.

წმიდა ფრანცისკეს ცხოვრების ერთ-ერთ ვერსიაში შემონახულია ქალბატონ სტეზოლის მიერ უკვე სასიკვდილო სარეცელზე მყოფი, მძიმედ დაავადებული წმიდანის მონახულების ამბავი.

„მან თავის ძმებს მოუხმო და უთხრა: თქვენ იცით, რომ ქალბატონი ჯაკომა სტეზოლი მუდამ იყო ჩემი ერთგული და თავდადებული ჩვენი ორდენის მიმართ. ამიტომ, ვფიქრობ, მისთვის დიდი ნუგეში იქნება, თუ შეატყობინებთ ჩემს ამბავს; მისწერეთ კიდევ, რომ გამომიგზავნოს ნაცრისფერი სამონაზვნო ქსოვილი და ნამცხვარი, რომელსაც ხშირად მიმზადებდა რომში. ამ ნამცხვარს რომაელები უწოდებენ „Mostaccioli“-ს, რომელიც ნუშის, შაქრისა და სხვა ინგრედიენტებისაგან მზადდება.

მაგრამ წერილის გასაგზავნად წასულ ძმას შეხვდა ქალბატონი სტეზოლი, რომელიც რომიდან ჩამოსულიყო თავის ვაჟებთან და მეგობრებთან

ერთად. აღმოჩნდა, რომ ჯაკომას ლოცვისას ჩაესმა ხმა, სასწრაფოდ მოენახულებინა ფრანცისკე, თუ სურდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ენახა იგი და თან წამოელო სწორედ ის ნივთები, რასაც ითხოვდა წმიდანს.

„ჯაკომამ მოამზადა ნამცხვარი, რომელიც სურდა წმიდა მამას, მაგრამ ფრანცისკემ მხოლოდ გემო გაუსინჯა მას, რადგან სიკვდილი კარს მოსდგომოდა. (...) ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ჩვენი წმიდა მამა უფალთან წავიდა“.

წმიდანის ცხოვრებაში მეტად არ მოიპოვება მონშობა იმისა, თუ რა საკვები მიიღო მან სიკვდილამდე. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ნუშის ნამცხვარი იყო ბოლო, რასაც გემო გაუსინჯა ფრანცისკემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს, თუ ექვარისტიას არ ჩავთვლით.

ტრადიციული იტალიური სამზარეულოს ყველაზე ჩვეულებრივი ტკბილეულის შესახებ ეს ამბავი გვიმჯღავნებს იმას, თუ როგორ მისდევდა სინამდვილეში წმიდა ფრანცისკე ასიზელი ქრისტეს. მსგავსად მაცხოვარისა, რომელმაც სიკვდილის წინ თავის მოწაფეებთან ერთად გაიზიარა საპასექო ტრაპეზი, ფრანცისკე მოუხმობს ძვირფას ქვრივს, დედობრივი სიყვარულით რომ ზრუნავდა მასზე და მის ძმებზე, და გემოს უსინჯავს მუსტაჩიოლის, მიუხედავად მკაცრი მარხვისა, რომლითაც იწამებდა თავს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მაგრამ ფრანცისკე ამას აკეთებს არა საკუთარი თავისთვის, არამედ ქვრივის სანუგეშოდ, რომელიც დამწუხრებულია მისი მოახლოებული სიკვდილის გამო. რადგან საკვების გაზიარება ურთიერთობისა და ერთიანობის გამოხატულებაა, სადღესასწაულო საკვების გაზიარება (ნუშის ნამცხვარი კი, უდავოდ, განსაკუთრებული და სადღესასწაულო საკვები იყო ლარიზი კაცისთვის) ასევე სიხარულის გამოხატულებაა. და წმიდა ფრანცისკეც იზიარებს თავისი უკანასკნელი შეხვედრის სიხარულს ქალბატონ სტეზოლისთან, ლატაკ ძმათა ერთგულ მეგობართან.

თქვენც რომ გაუზიაროთ სტუმრებს ურთიერთობისა და მეგობრობის სიხარული, შემოგთავაზებთ ტრადიციული იტალიური მუსტაჩიოლის რეცეპტს.



ინგრედიენტები:

- თეთრი ხორბლის ფქვილი 500 გ.
- ყავისფერი შაქარი 150 გ.
- თაფლი 50 გ.
- მოხალული ნუში 250 გ.
- ზეითუნის ზეთი 100 გ.
- კვერცხი 2 ცალი
- კაკაოს ფხვნილი 2 სუფრის კოვზი
- ლიმონი 1 ცალი
- თეთრი ღვინო ან რომი 50-60 გ.
- გამაფხვიერებელი 1 პაკეტი
- დარიჩინი

მომზადება:

შეურიეთ ერთმანეთს ფქვილი, კვერცხი, კარაქი, შაქარი, თაფლი და კაკაო. დაუმატეთ გამაფხვიერებელი და აურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ნუში გახეხეთ ან წვრილად დაფქვით, ასევე, ლიმონის ცედრა და დაამატეთ ცომს.

დაუმატეთ დარიჩინი და თეთრი ღვინო (ან რომი), რაც დაატენიანებს ცომს და გახდის მას მოქნილს, ისე რომ, ხელეებზე არ მიგეკროთ.

მიღებული მასა გააბრტყელეთ თხელ ფენად, დაჭერით რომბისებურად (დანით ან სპეციალური ფორმის მეშვეობით). ზუსტად ასეთი ფორმა უნდა ჰქონდეს კლასიკურ იტალიურ მოსტაჩიოლის.

გამოაცხვეთ ზომიერ ტემპერატურაზე.

თანამედროვე რეცეპტების წაკითხვისას, ალბათ, წაანყდებით მოსტაჩიოლის შოკოლადის მინანქრით, მაგრამ წმიდა ფრანცისკეს მოღვაწეობის ხანაში შოკოლადის მინანქარი არ გამოიყენებოდა.

ასე რომ, ფრანცისკესეული მოსტაჩიოლი, ყოველგვარი დანამატის გარეშე, ისეთივე უბრალოა, როგორც თავად ასიზელი ლატაკი. ნამცხვარს ნუშის არომატი უნდა ჰქონდეს და ერთნაირად გემრიელი იქნება როგორც ცხელი, ასევე ცივი.

გემრიელად მიირთვიეთ!



დაბადების დღის მილოცვა შვილისთვის

შვილო, ჩემო თბილო, გილოცავ დაბადების დღეს!

შენი მამობა დღესასწაულია, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება!

ძალიან მიყვარხარ და გახსოვდეს, სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები.

მსურს, იყო ბედნიერი, გახარებული, ღვთისგან დალოცვილი.

მადლობა უფალს და დედას შენი მოვლენისთვის ამ ქვეყანაზე.

იყავი ზრდილობიანი, თავმდაბალი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე და პოზიტიური.

მოექეცი ადამიანებს ისე, როგორც შენ გინდა, რომ მოგექცნენ ისინი.

ნება მომეცი, ვისარგებლო სხვისი სიტყვების ამონარიდით - სულაც არ არის რთული ამ სიტყვების შესრულება:

სულაც არ არის რთული - მეზობელს გაუღიმო და უთხრა, რომ ის კარგად გამოიყურება!

სულაც არ არის რთული - მაღაზიაში მოღარეს მადლობა გადაუხადო და ნარმატებული დღე უსურვო!

სულაც არ არის რთული - სამარშრუტო ტაქსის მძღოლს ჩასვლისას მადლობა გადაუხადო!

სულაც არ არის რთული - გაუღიმო იმ მძღოლს, რომელიც მანქანას გააჩერებს „ზებრაზე“, გადასვლისას გზა რომ დაგიტომოს!

სულაც არ არის რთული - არ დაყარო ქუჩაში ნაგავი!

სულაც არ არის რთული - ბოდიში მოუხადო იმ ადამიანს, რომელსაც შემთხვევით შეეჯახე ან ფეხი დააბიჯე!

სულაც არ არის რთული - ტრანსპორტში ადგილი დაუთმო უფროსს!

სულაც არ არის რთული - დაღონებულ მეგობარს უთხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ გჯერა მისი და გვერდით უდგახარ.

სულაც არ არის რთული - უზრდელს უზრდელად არ მოექეცი!

სულაც არ არის რთული - აგრესიას აგრესიით არ უპასუხო!

სულაც არ არის რთული - მოიკითხო ადამიანი, ჩაეხუტო, გაუღიმო, სიყვარული გამოავლინო, შეაქო, დააფასო!

სულაც არ არის რთული - იყო ადამიანი.

მიყვარხარ, მიყვარხარ უსაზღვროდ!



ოჯახის დღე წეროვანში




25 ივნისს წეროვანში მოეწყო კათოლიკე ოჯახების შეხვედრა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო Iner georgia - წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში. „ინერის“ წარმომადგენლებთან ერთად, ახალგაზრდა წყვილებს ოჯახის თემაზე ესაუბრა კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო.

საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ სასულიერო პირები და მონაზვნები. შეხვედრა მოეწყო ახალგაზრდული ცენტრის ხელშეწყობით. ცენტრის წარმომადგენლებმა იქ მყოფ ბავშვებს სპეციალურად შედგენილი გასართობი პროგრამა წარუდგინეს.

ორგანიზაციის „ინერ ჯორჯია - წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“ პრიორიტეტი ოჯახების დახმარებაა. კათოლიკე ოჯახები, შერეული წყვილები ან მარტოხელა ადამიანები იკრიბებიან და ერთად ზეიმობენ ამ დღეს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ოჯახში ღმერთის სული ტრიალებს, ის წმიდა ოჯახის ხატებაა. გვენატრება ხოლმე ეს შეხვედრა. მე ჩემს მეუღლესთან ერთად მოვედი. ყოველ წელს ასეა, ვსაუბრობთ ამჟამინდელ პრობლემებზე, გამონვევებზე, ოჯახის იდენტობასა და მისიაზე.

ოჯახების ზეიმი ეხმაურება ვატიკანში მიმდინარე მსოფლიოს ოჯახების შეხვედრას.

განსვენება საუკუნო მიანიჭა მათ, უფალო!



მიხაილ თოდორაშვილი
* 05.12. 1931, ხიზაბაგრა
† 24. 05. 2022, ხიზაბაგრა



**ელენე ჯაქარაშვილი-
მოგილაშვილი**
* 02. 05.1932, ვალე
† 26. 05. 2022, ვალე



თეიმურაზ ხითარაშვილი
* 25. 03. 1931, ვალე
† 01. 06. 2022, ვალე



ივანე განვალიშვილი
* 1937.16. 04. 1937, ვალე
† 04. 06. 2022, ვალე



სოფიო ხითარაშვილი
* 29. 12. 1937, ვალე
† 14. 06. 2022, ვალე



დასავლეთ სუბარტიველოს
სამრევლოების ბუნაკი



უღის საგანმანათლებლო ცენტრი
ბრესტი - დღის ბუნაკი



სუბბ



საქართველოს კათოლიკეთის ყოველთვიური ბუნაკი
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SASA

მუშავებს რედაქციის: მ. ვაბიჯიანი ბრესტის CSS
სარედაქციო კონსტრუქციები: ნეკერი პარკი, ვარკეთილი, მოციხის ქუჩა, თბილისი, საქართველო
მუშავებს რედაქციის: მ. ვაბიჯიანი, მ. ვაბიჯიანი, მ. ვაბიჯიანი, მ. ვაბიჯიანი, მ. ვაბიჯიანი
მისამართი: ვურჯილი „საბა“ რედაქცია, ვა. აბუხაძის ქ. №4ა, თბილისი, საქართველო
E-mail: sasa.journal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსდა მანანა ანდროიძის მიერ 2005 წელს. © „საბა“